3.7 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს ერთდროულად უწევს რამდენიმე ვალდებულების შესრულება (რამდენიმე კრედიტის ერთდროულად (ერთ თარიღში) დაფარვა), იგი უფლებამოსილია, ყოველი ასეთი შემთხვევის დადგომისას (ყოველ ჯერზე), ვალდებულების დაფარვამდე მიმართოს განცხადებით ბანკის ნებისმიერ ფილიალს / სერვისცენტრს და მოითხოვოს ვალდებულებების შესრულება (სესხის დაფარვა) მისთვის სასურველი თანმიმდევრობით (პრიორიტეტულობით). ხოლო, თუ კლიენტი არ გამოიყენებს წინამდებარე პუნქტით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას, ბანკი მოახდენს ვალდებულებების დაფარვას შემდეგი პრიორიტეტულობით: პირველ რიგში დაიფარება საკრედიტო ბარათებთან / ოვერდრაფტებთან დაკავშირებული გადასახდელები, შემდგომ დაიფარება არაუზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი და ბოლოს უზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი. ამავდროულად, ბანკი იტოვებს უფლებამოსილებას, ყოველ კონკრეტული შემთხვევისას, ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული კლიენტის ვალდებულებათა შესრულების რიგითობა (პრიორიტეტულობა).

3.8 წინამდებარე კრედიტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის წინსწრებით (სრულად ან ნაწილობრივ) დაფარვის საკითხი/უფლება, რეგულირდება წინამდებარე და/ან ძირითადი ხელშეკრულებით.

3.9 კლიენტი აცნობიერებს და თანახმაა რომ:

3.9.1 ჩაერთოს „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის N365 დადგენილებით (შემდგომში „დადგენილება“) გათვალისწინებულ პროგრამაში (შემდგომში „პროგრამა“ ან „პროექტი“) და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ „აწარმოე საქართველოში“-მ (შემდგომში „სააგენტო“) განახორციელოს კლიენტის სასარგებლოდ გაცემულ სესხზე/კრედიტზე დარიცხული/დასარიცხი წლიური საპროცენტო განაკვეთის მიზნობრივი თანადაფინანსება (შემდგომში ტექსტში „მიზნობრივი თანადაფინანსება“ ან „თანადაფინანსება“);

3.9.2 კრედიტის დაფარვა (ძირითადი თანხა, დარიცხული საპროცენტო სარგებელი და სხვა) არის კლიენტის ვალდებულება სრულად (მოუხედავად იმისა არსებობს/იარსებებს თუ არა სააგენტოს მხრიდან მიზნობრივი თანადაფინანსება). შესაბამისად სააგენტოს მხრიდან ნებისმიერი სახის თანადაფინანსების შეფერხების ან შეჩერების ან/და შეწყვეტის შემთხვევაში ბანკს არ ეკისრება არავითარი პასუხისმგებლობა;

3.9.3 კლიენტს უფლება არ აქვს დაარღვიოს კრედიტის მიზნობრიობა;

3.9.4 სააგენტოს მიერ თანადაფინანსების ნებისმიერი მიზეზით შეჩერების ან/და შეწყვეტის ან/და შეფერხების შემთხვევაში ის თავად სრულად დაფარავს ნებისმიერ საკრედიტო დავალიანებას (კრედიტის ძირითადი თანხა, კრედიტზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი (მათ შორის გრაფიკით გათვალისწინებულ სააგენტოს მიერ გადასახდელ პროცენტს, პირგასამტეხლოს ასეთის არსებობისას);

- 3.9.5 სააგენტოს მიერ თანადაფინანსების ნებისმიერი მიზეზით შეჩერების ან/და შეფერხების ან/და შეწყვეტის შემთხვევაში კლიენტი არ თავისუფლდება ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულებათა სრულად შესრულებისგან;
- 3.9.6 კლიენტის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების გრაფიკით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე სესხის დასაფარად შენატანის განხორციელებისას, სააგენტო უფლებამოსილია ბანკის შეტყობინების საფუძველზე ჩარიცხოს შესაბამისი თანადაფინანსების თანხა კრედიტის წინსწრებით (სრულად ან ნაწილობრივ) დაფარვის მიზნით ბანკთან შეთანხმებულ ვადაში;
- 3.9.7 ნებისმიერი ვადაგადაცილება კლიენტის მხრიდან, სააღსრულებო წარმოების დაწყება და სხვა, შეიძლება გახდეს სააგენტოს მხრიდან შესაბამისი თანადაფინანსების შეჩერების ან შეწყვეტის საფუძველი;
- 3.9.8 კლიენტის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულებით (ასევე მისი დანართ(ებ)ით ან/და დაფარვის გრაფიკით) გათვალისწინებული გადახდის ვადაგადაცილების ან 120 (ასოცი) დღეზე მეტი ვადით დარღვევის (გადაცილების) შემთხვევაში და/ან ბანკის მიერ სააღსრულებო ფურცლის მიღების შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია შეწყვიტოს კლიენტის თანადაფინანსება.
- 3.9.9 ნებისმიერი სახის სამართლებრივი შეზღუდვა (ყადალა, ინკასო ან სხვა) კლიენტის ანგარიშზე ან/და ქონებაზე შეიძლება გახდეს სააგენტოს მხრიდან შესაბამისი თანადაფინანსების შეჩერების ან შეწყვეტის საფუძველი;
- 3.9.10 პროექტის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, სააგენტო ახორციელებს მხოლოდ კრედიტზე დარიცხული X თვის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას, დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთიდან X პროცენტის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთისა.
- 3.9.11 კლიენტის მიერ დადგენილი გრაფიკით გათვალისწინებული შენატანის გადახდის შემთხვევაში, აგრეთვე თუ კლიენტის მიერ სრულად და ჯეროვნად არის შესრულებული წინამდებარე ხელშეკრულებით / პროგრამით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები/პირობები, ბანკი უფლებამოსილია სააგენტოს მიერ საპროცენტო თანადაფინანსების თანხა (ხელშეკრულების გრაფიკის გრაფა: სააგენტოს %) ჩარიცხოს კლიენტის ანგარიშზე და მოახდინოს ასეთის ჩამოჭრა კლიენტის ნებისმიერი შემდგომი თანხმობის გარეშე, ბანკი აგრეთვე უფლებამოსილია, სააგენტოს თანადაფინანსების თანხა კლიენტის ანგარიშზე ჩარიცხვის გარეშე მიმართოს კლიენტის ვალდებულების დასაფარად.
- 3.9.12 სააგენტოს ან/და ბანკის მიერ კლიენტის მხრიდან კრედიტის მიზნობრიობის დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია კლიენტს შეუწყვიტოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნობრივი თანადაფინანსება/უზრუნველყოფაში თანამონაწილეობა, რაზეც წერილობით აცნობებს ბანკს და კლიენტს.
- 3.9.13 ბანკს უფლება აქვს შეწყვიტოს კლიენტთან არსებული საკრედიტო ურთიერთობა თუ კლიენტს ნებისმიერი მიზეზით შეუწყდება პროექტის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში თანადაფინანსება ან/და კრედიტის უზრუნველყოფაში სააგენტოს თანამონაწილეობა ან/და კლიენტი ბანკისგან დამოუკიდებელი მიზეზით (მ.შ. ყადალა, ინკასო, აკრძალვა ან სხვა შეზღუდვა) ვერ შეძლებს ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.
- 3.9.14 იმ შემთხვევაში, თუ ბანკი არ გამოიყენებს მისთვის 3.9.13 ქვეპუნქტით მინიჭებულ უფლებას, ბანკს უფლება აქვს კლიენტს ცალმხრივად შეუცვალოს საბანკო კრედიტის ხელშეკრულების (მათ შორის ყველა და ნებისმიერი მისი დანართით დადგენილი) ნებისმიერი და ყველა პირობა.
- 3.9.15 ბანკს უფლება აქვს მოსთხოვოს კლიენტს, ხოლო კლიენტი ვალდებულია გააფორმოს ბანკთან 3.9.14 პუნქტში აღნიშნულ ცვლილების შესახებ შეთანხმება ან/და ხელშეკრულება.
- 3.10 ვინაიდან სესხი გაიცემა სახელმწიფო პროექტის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში სააგენტოსთან თანამშრომლობით:
- 3.10.1 კლიენტი თანახმაა, რომ სააგენტომ კლიენტის შემდგომი თანხმობის გარეშე:
- 3.10.1.1 ნებისმიერ დროს განახორციელოს კლიენტის მიერ მიღებული კრედიტის მიზნობრიობის მონიტორინგი.
- 3.10.1.2 ბანკისგან ნებისმიერი ფორმით მიიღოს კლიენტის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია (მათ შორის პირადი/პერსონალური ინფორმაცია/მონაცემები, ამონაწერები გადახდებისა და ანგარიშების შესახებ, კრედიტთან დაკავშირებული ინფორმაცია და სხვა), ნებისმიერი სახის საკრედიტო დოკუმენტაცია მათ შორის საკრედიტო ხელშეკრულების ასლ(ებ)ი, სესხის უზრუნველყოფის (მათ შორის იპოთეკის, გირავნობის, თავდებობის და სხვა) ხელშეკრულების ასლ(ებ)ი და სხვა დოკუმენტები;
- 3.10.1.3 ბანკისგან ნებისმიერი ფორმით მიიღოს ინფორმაცია სესხის მიზნობრიობის, მოცულობის, საპროცენტო განაკვეთის, ვადაგადაცილების შემთხვევაში დაწესებულ ჯარიმის, გაცემის საკომისიოს, ვადის, სტატუსის (ახალი, რეფინანსირებული, რესტრუქტურირებული), დაფარვის გრაფიკის შესახებ;
- 3.10.1.4 ბანკსა და სააგენტოს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში, ბანკმა კლიენტს მოსთხოვოს წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ბანკსა და სააგენტოს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებასთან მისადაგება, ხოლო კლიენტი ვალდებულია დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებებს ბანკის მხრიდან ასეთი ცვლილების შეტანის მოთხოვნიდან ერთი თვის ვადაში;

- 3.10.2 კლიენტი თანახმაა, რომ ბანკსა და სააგენტოს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში, ბანკმა კლიენტს მოსთხოვოს წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ბანკსა და სააგენტოს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებასთან მისადაგება, ხოლო კლიენტი ვალდებულია დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებებს ბანკის მხრიდან ასეთი ცვლილების შეტანის მოთხოვნიდან ერთი თვის ვადაში;
- 3.10.3 კლიენტი აცნობიერებს / აცხადებს და ადასტურებს, რომ:
- 3.10.3.1. არ აქვს სახელმწიფოს წინაშე საგადასახადო დავალიანება (გარდა იმ შემთხვევისა, თუ საგადასახადო დავალიანების გადახდევინება გადავადებულია ან მისი გადახდის ვალდებულება შეჩერებულია კანონის საფუძველზე) ან/და არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში.
- 3.10.3.2. ბანკს სრულად აუნაზღაურებს არასწორი/მცდარი ინფორმაციის მიწოდებით და/ან პროგრამის/დადგენილების/წინამდებარე ხელშეკრულების და მისი დანართ(ებ)ით (მათ შორის ხელშეკრულების 3.9-3.11 პუნქტებითა და მათი ქვეპუნქტებით, აგრეთვე დანართი N1-ით გათვალისწინებული) პირობების/ვალდებულებების/მოთხოვნების/განცხადებებისა და გარანტიების დარღვევის/შეუსრულებლობის შედეგად ბანკისთვის მიყენებულ ნებისმიერი სახის ზიანს (მათ შორის იმ შემთხვევაში, თუ დაირღვა/შეიცვალა ხელშეკრულების მიზნობრიობა, კლიენტის საქმიანობის პროფილი, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაში ჩართვის მომენტისთვის კლიენტს სახელმწიფოს წინაშე გააჩნდა ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანება (გარდა იმ შემთხვევისა თუ საგადასახადო დავალიანების გადახდევინება გადავადებულია ან მისი გადახდის ვალდებულება შეჩერებულია კანონის საფუძველზე) ან/და რეგისტრირებული იყო მოვალეთა რეესტრში). წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში/ებში, ბანკი აგრეთვე უფლებამოსილია, მოსთხოვოს კლიენტს მიღებული თანადაფინანსების თანხ(ებ)ის სრულად დაბრუნება/გადახდა და სააგენტოს მიერ ბანკისთვის დაკისრებული სანქცი(ებ)ის/პირგასამტეხლოს/ების თანხ(ებ)ის გადახდა. ასეთი მოთხოვნ(ებ)ის შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია შეასრულოს ბანკის მოთხოვნები.
- 3.10.3.3. ბანკი უფლებამოსილია, მოსთხოვოს კლიენტს პირგასამტეხლოს გადახდა, ხოლო ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია გადაუხადოს ბანკს პირგასამტეხლო მიღებული (პროგრამით გათვალისწინებული) თანადაფინანსების თანხის 1%-ის ოდენობით (დარღვევის თითოეულ ფაქტზე, თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე) იმ შემთხვევაში თუ, კლიენტი ბანკს წარუდგენს არასწორ/მცდარ ინფორმაციას, არამიზნობრივად გამოიყენებს თანადაფინანსების თანხას, შეიცვლის/დაარღვევს საქმიანობის პროფილს / ხელშეკრულების მიზნობრიობას და/ან სხვაგვარად დაარღვევს / არ შეასრულებს ხელშეკრულების 3.9-3.11 პუნქტებითა და მათი ქვეპუნქტებით / დადგენილებითა და პროგრამით გათვალისწინებულ პირობებს, მათ შორის იმ შემთხვევაში, თუ დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ით გათვალისწინებულ ვალდებულებებს/პირობებს.
- 3.10.3.4. სააგენტო უფლებამოსილია თანადაფინანსება შეწყვიტოს კლიენტის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით და მისი დანართ(ებ)ით (მათ შორის ხელშეკრულების 3.9-3.11 პუნქტებითა და მათი ქვეპუნქტებით, აგრეთვე დანართი N1-ით) გათვალისწინებული მოთხოვნების, ვალდებულებების, განცხადებებისა და გარანტიების, პირობების, ხელშეკრულების მიზნობრიობის / საქმიანობის პროფილის დარღვევის, შეუსრულებლობის, მათ შორის კლიენტის მიერ ხელშეკრულების გრაფიკით გათვალისწინებული გადასახდელის/შენატანის ზედიზედ 120 (ასოცი) დღეზე მეტი ვადაგადაცილების და/ან ბანკის მიერ სააღსრულებო ფურცლის მიღების შემთხვევაში და/ან საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის დადგენილებით / პროგრამით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამასთან, წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში/ებში / კლიენტის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის გამო სააგენტოს მიერ თანადაფინანსების შეწყვეტის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია დააბრუნოს სააგენტოს მიერ პროგრამის ფარგლებში გადახდილი თანხები.
- 3.10.4. კლიენტი ვალდებულია:
- 3.10.4.1. უზრუნველყოს მიზნობრივი საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო სამეურნეო/ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მოთხოვნების შესაბამისად. მათ შორის, ვალდებულია უზრუნველყოს სამეურნეო/ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობებში შშმ პირების შეუფერხებელი დაშვება, პანდუსების ან/და მსგავსი საშუალებების გამოყენებით. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ადაპტირების ვალდებულების დარღვევის თითოეულ შემთხვევაში, კლიენტს სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისრება ჯარიმა 200 (ორასი) ლარის ოდენობით, რომელიც გადახდილ/ჩარიცხულ უნდა იქნას სახელმწიფო ხაზინაში დაჯარიმებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) დღის ვადაში. ამასთან, კლიენტს მიეცემა 6 თვიანი ვადა ადაპტირებისათვის.

- 3.10.4.2. თანამშრომლების შერჩევის ეტაპზე, უზრუნველყოს ერთი და იმავე კვალიფიკაციის კანდიდატების შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირ(ებ)ისათვის უპირატესობის მინიჭება. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის თითოეულ შემთხვევაში, კლიენტს სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისრება ჯარიმა 200 (ორასი) ლარის ოდენობით, რომელიც გადახდილ/ჩარიცხულ უნდა იქნას სახელმწიფო ხაზინაში დაჯარიმებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) დღის ვადაში.
- 3.10.4.3. განახორციელოს სესხის სრული ოდენობით აღება/ათვისება სააგენტოს მიერ შესაბამისი დადასტურებიდან 2 წლის მანძილზე. კლიენტი აცნობიერებს, რომ 2 წლიანი ვადის გასვლის შემდეგ მის მიერ სესხის ათვისების/აღების შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია თანადაფინანსება განახორციელოს სესხის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც გაცემულ/ათვისებულ იქნა დადასტურებიდან 2 წლის ვადაში.
- 3.10.4.4. უზრუნველყოს ბენეფიციარის სტატუსით სარგებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში, სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში სააგენტოსთვის ფინანსური და სხვა სახის მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდება სააგენტოს მიერ შემუშავებული ფორმის შესაბამისად. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის თითოეულ შემთხვევაში, კლიენტს სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისრება ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, რომელიც გადახდილ/ჩარიცხულ უნდა იქნას სახელმწიფო ხაზინაში დაჯარიმებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) დღის ვადაში.
- 3.10.4.5. წინამდებარე ხელშეკრულების / პროგრამის მოქმედების განმავლობაში, დადგენილების / პროგრამის პირობების შესაბამისად, მიზნობრივი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების ადგილი ჰქონდეს საკუთრებაში ან სარგებლობაში. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის (და/ან ვალდებულების დარღვევის აღმოსაფხვრელად მიცემული ვადის უშედეგოდ გასვლის) შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია შეუწყვიტოს კლიენტს თანადაფინანსება და მოსთხოვოს ჩარიცხული თანადაფინანსების თანხების სრული ოდენობით უკან დაბრუნება.
- 3.10.4.6. განახორციელოს სესხის / სესხის პირველი ტრანშის (არანაკლებ შესაბამისი ინდუსტრიისთვის პროგრამით გათვალისწინებული მინიმალური მოცულობის) ათვისება/აღება სააგენტოს მიერ სესხის დადასტურებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში სააგენტო უფლებამოსილია არ განახორციელოს სესხის თანადაფინანსება.
- 3.10.4.7. უზრუნველყოს პროგრამის/დადგენილების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინდუსტრიაში/ებში (დადგენილების დანართი N1-ით გათვალისწინებული ინდუსტრიები და ტურისტული სერვისების ინდუსტრია) საქმიანობის დაწყება ბანკის მიერ სესხის/კრედიტის პირველი ტრანშის გაცემიდან არაუგვიანეს 2 წლისა [2021 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაცემული სესხებისთვის: სესხის/კრედიტის პირველი ტრანშის გაცემიდან არაუგვიანეს 3 წლისა], ხოლო არსებული საწარმოების გაფართოების / გადაიარაღების შემთხვევაში - ბანკის მიერ სესხის/კრედიტის პირველი ტრანშის გაცემიდან არაუგვიანეს 12 თვისა [2021 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაცემული სესხებისთვის: სესხის/კრედიტის პირველი ტრანშის გაცემიდან არაუგვიანეს 24 თვისა].
- 3.10.4.8. უზრუნველყოს პროგრამის/დადგენილების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინდუსტრიებში (სასტუმრო ინდუსტრია და ბალნეოლოგიური კურორტების ინდუსტრია), დადგენილებით გათვალისწინებული საერთაშორისო ბრენდის გამოყენების შემთხვევაში, საქმიანობის დაწყება - ბანკის მიერ სესხის/კრედიტის პირველი ტრანშის გაცემიდან არაუგვიანეს 3 წლისა [2021 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაცემული სესხებისთვის: სესხის/კრედიტის პირველი ტრანშის გაცემიდან არაუგვიანეს 4 წლისა], ხოლო საერთაშორისო ბრენდის გამოყენების გარეშე, საქმიანობის დაწყება ან/და არსებულის გაფართოება/გადაიარაღება - ბანკის მიერ სესხის/კრედიტის პირველი ტრანშის გაცემიდან არაუგვიანეს 2 წლისა [2021 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაცემული სესხებისთვის: სესხის/კრედიტის პირველი ტრანშის გაცემიდან არაუგვიანეს 3 წლისა].
- 3.10.4.9. უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების 3.10.4.7; 3.10.4.8 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქმიანობის დაწყებიდან ან/და არსებული საწარმოს გაფართოების/გადაიარაღების დასრულების შემდგომ 2 წლის განმავლობაში, წარმოების პროფილის შენარჩუნება [2021 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაცემული სესხებისთვის: წინამდებარე ხელშეკრულების 3.10.4.7 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის დაწყებიდან ან/და არსებული საწარმოს გაფართოების/გადაიარაღების ხელშეწყობის მიზნით დამტკიცებული სესხის/პროექტის შემთხვევაში - სესხის/კრედიტის პირველი ტრანშის გაცემიდან 3 წლის განმავლობაში წარმოების პროფილის შენარჩუნება, ხოლო ხელშეკრულების 3.10.4.8 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის დაწყებიდან ან/და არსებული საწარმოს გაფართოების/გადაიარაღების დასრულების შემდგომ 3 წლის განმავლობაში წარმოების პროფილის შენარჩუნება].

3.10.4.10.

სრულად და ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1 (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის N365 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის კრედიტის მიმართულების ფარგლებში კომერციული ბანკის მიერ მეწარმე სუბიექტებზე გაცემული კრედიტის თანადაფინანსების თაობაზე) რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. დანართ N-1-სა და წინამდებარე ხელშეკრულებას შორის შეუსაბამობის/განსხვავების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება დანართ N1-ს.

3.11 ბანკი უფლებამოსილია:

3.11.1 სააგენტოს მიაწოდოს კლიენტის შესახებ ნებისმიერი და/ან ყველა ინფორმაცია.

3.11.2 სააგენტოს მიაწოდოს კლიენტის შესახებ მის ხელთ არსებული ნებისმიერი და/ან ყველა დოკუმენტი.

3.12 კლიენტის სასესხო ვალდებულება ბანკის მიმართ უქმედება მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებით კლიენტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემთხვევაში ან ბანკის უფლებამოსილი პირის მხრიდან წერილობითი ფორმით შედგენილი ვალის პატიების გზით. ცნობა სასესხო დავალიანების მდგომარეობის შესახებ არ ჩაითვლება ვალის პატიებად.

3.13 ბანკის მხრიდან ხელშეკრულების ცალმხრივად ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში პირგასამტეხლოს დარიცხვა გრძელდება ვალდებულების სრულ შესრულებამდე და იგი გადახდას ექვემდებარება არსებული დავალიანების დაფარვის მიზნით იძულებითი, ან კლიენტის მიერ ნებაყოფლობითი აღსრულების მომენტისათვის გაანგარიშებული თანხით იმ შემთხვევაშიც, თუ ბანკი ცალმხრივად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან/და არაჯეროვნად შესრულებისათვის მოითხოვს ხელშეკრულების შეწყვეტას. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

3.14 მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებიდან (შეთანხმებიდან) გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, განსახილველად და საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცემა სასამართლოს, თუ დავის საგნის ჯამური (საერთო) ღირებულება ნაკლებია 7 000 (შვიდი ათასი) ლარზე ან ეკვივალენტზე უცხოურ ვალუტაში (სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად).

3.15 იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების, ან მის საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების/შეთანხმების დადების ადგილია აღმოსავლეთ ან სამხრეთ საქართველოს (შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციული ერთეული) ტერიტორია, მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებიდან (შეთანხმებიდან) გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, განსახილველად და საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცემა მუდმივმოქმედ არბიტრაჟს შემდეგი წესით: 1) 7 000 (შვიდი ათასი) ლარიდან 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარამდე (ან ეკვივალენტზე უცხოურ ვალუტაში (სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად)) - შპს „არბიტრაჟის სახლს“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 411322359); 2) 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარს (ან ეკვივალენტს უცხოურ ვალუტაში (სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად)) ზემოთ - მუდმივმოქმედ არბიტრაჟს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 205273005).

3.16 იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების, ან მის საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების დადების ადგილია დასავლეთ საქართველოს (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია, გურია, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სამეგრელო, ზემო სვანეთი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა) ტერიტორია, მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებიდან (შეთანხმებიდან), გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, განსახილველად და საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცემა მუდმივმოქმედ არბიტრაჟს - შპს „არბიტრაჟის სახლს“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 411322359), თუ დავის საგნის ჯამური (საერთო) ღირებულება მეტია 7 000 (შვიდი ათასი) ლარზე ან მის ეკვივალენტზე უცხოურ ვალუტაში (სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად). ამასთან, მხარეთა შეთანხმებით, დავის განხილვის ადგილია ქუთაისი.

3.17 მხარეები თანხმდებიან და ადგენენ საარბიტრაჟო წარმოების წესებს და პროცედურებს ქვემოთ მოყვანილი პირობების (საარბიტრაჟო დათქმა-შეთანხმება) შესაბამისად. საარბიტრაჟო წარმოების წესები და პროცედურები განისაზღვრება მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების დებულების შესაბამისად, თუ წინამდებარე შეთანხმებით სხვა წესები და პროცედურები არ არის განსაზღვრული ან წინამდებარე შეთანხმება

არ ადგენს მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების დებულებისაგან განსხვავებულ ან/და დამატებით წესებს და პროცედურებს. ამასთან გამოიყენება მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების დებულების ის რედაქცია, რომელიც მოქმედებს საარბიტრაჟო სარჩელის მიღების თარიღისათვის. საარბიტრაჟო დავ(ებ)ის განხილვის ადგილი არის ქალაქი თბილისი, არბიტრაჟი დავას გადაწყვეტს საქართველოს კანონმდებლობით მოქმედი სამართლის ნორმების შესაბამისად და საარბიტრაჟო განხილვა წარმოებს ქართულ ენაზე. მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულება დავას განიხილავს ერთი არბიტრის შემადგენლობით. თუ დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარს ან მის ეკვივალენტს საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად უცხოურ ვალუტაში, არბიტრაჟი დავას განიხილავს მხარეთა ზეპირი მოსმენის გარეშე (საარბიტრაჟო განხილვის ფორმა), მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების დებულების შესაბამისად. საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე ან განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მხარეს შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს მუდმივმოქმედ საარბიტრაჟო დაწესებულებას, ხოლო არბიტრაჟის ფორმირების შემდეგ – არბიტრაჟს, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ. მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების (ან არბიტრაჟის) მიერ გამოყენებულ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს აქვთ სავალდებულო ძალა და იგი უნდა აღსრულდეს არბიტრაჟის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. მხარეები თანხმდებიან, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება(ებ)ს აქვს (აქვთ) სავალდებულო იურიდიული ძალა მხარის მიერ მის ცნობისა და აღსრულებისათვის სასამართლოსათვის მიმართვის გარეშე. თუ მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების დებულებით ან/და კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული, არბიტრაჟის გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხების გადაწყვეტის უფლებამოსილება ენიჭება საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარეს. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გამოტანის მომენტიდან და არ არის აუცილებელი შეიცავდეს სამოტივაციო ნაწილს.

- 3.18 იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო სარჩელის (პრეტენზიის) წარდგენის მომენტში, ზემოხსენებული არბიტრაჟი/არბიტრაჟები იქნება ლიკვიდირებული ან მას/მათ შეჩერებული/შეწყვეტილი ექნება ფუნქციონირება, დავა განსახილველად და საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცემა სასამართლოს. იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებებით/შეთანხმებებით საარბიტრაჟო დათქმა სხვადასხვაგვარად რეგულირდება, დავის შემთხვევაში, გამოიყენება მხარეთა შორის დადებული უახლესი ხელშეკრულებით/შეთანხმებით გათვალისწინებული საარბიტრაჟო დათქმა.
- 3.19 იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა ნებისმიერი მიზეზით დაექვემდებარება სასამართლოს განსჯადობას (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზეზით და სხვ.) და განხილული იქნა სასამართლოს მიერ, მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268–ე მუხლის ¹¹ ნაწილის შესაბამისად, ამ ხელშეკრულებიდან (შეთანხმებიდან) გამომდინარე დავასთან დაკავშირებული ბანკის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, მიეცეულ იქნეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.
- 3.20 მხარეები თანხმდებიან, რომ კომუნიკაცია მათსა და სასამართლოს ან/და მათსა და საარბიტრაჟო დაწესებულებას ან/და მათსა და არბიტრებს შორის წარმოებს წერილობით, მათ შორის ელექტრონული ფოსტის საშუალებით (ელექტრონული ფორმით). მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება, მათ შორის ხელშეკრულებაზე უარის თქმის, ხელშეკრულების მოშლის, ხელშეკრულების შეწყვეტის ან/და ვალდებულების შესრულებისათვის დამატებითი ვადის განსაზღვრის, აგრეთვე საპროცენტო განაკვეთის ბანკის მიერ ცალმხრივად გაზრდის შესახებ განხორციელებულად ჩაითვლება, თუ მხარეს ჩაბარდება წერილობით, მათ შორის ელექტრონული ფორმით წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების რეკვიზიტების ნაწილში განსაზღვრულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე. კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ სასამართლომ ან არბიტრაჟმა (არბიტრმა) მისი დაბარება, მისთვის უწყების ჩაბარება, მისთვის სასამართლო ან საარბიტრაჟო საქმისწარმოების დოკუმენტაციების გადაცემა, მისთვის გადაწყვეტილების (განჩინების) / საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ჩაბარება განხორციელოს წერილობით, მათ შორის ელექტრონული ფოსტის საშუალებით წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების რეკვიზიტების ნაწილში განსაზღვრულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე. თუ მხარეს შეტყობინება ეგზავნება ელექტრონული ფორმით წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების რეკვიზიტების ნაწილში მითითებულ ელექტრონულ ფოსტის მისამართზე, მიღება (მხარისათვის ჩაბარება) უნდა დადასტურდეს შესაბამისი ტექნიკური საშუალების ამონაწერით ან/და შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მოწოდებული

დადასტურებით. კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების რეკვიზიტების ნაწილში განსაზღვრულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე ელექტრონული ფოსტის საშუალებით განთავსებული შეტყობინება (თუ მიღება (მხარისათვის ჩაბარება) დასტურდება შესაბამისი ტექნიკური საშუალების ამონაწერით ან/და შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მოწოდებული დადასტურებით) მისთვის ჩაბარებულად ითვლება.

3.21 ეს ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება ბანკს, ერთი გადაეცემა კლიენტს.

ინფორმაცია მხარეთა შესახებ

ბანკი

სს “თიბისი ბანკი“

საიდენტიფიკაციო ნომერი: 204854595

მისამართი: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. #7

ტელეფონის ნომერი: +99532 2272727

ფილიალის მისამართი:

საზედამხედველო ორგანო: „საქართველოს ეროვნული

ბანკი“ (მის.თბილისი,სანაპიროს ქუჩა №2)

კლიენტი/მსესხებელი

სახელი გვარი

პირადი ნომერი: საიდენტიფიკაციო ნომერი:

მისამართი:

ტელეფონის ნომერი:

ელ. ფოსტა:

ფაქსიმილე (ხელმოწერის ნიმუში)

ფაქსიმილე (ხელმოწერის ნიმუში)

ხელმოწერა (სახელი და გვარი სრულად და გარკვევით)

ხელმოწერა (სახელი და გვარი სრულად და გარკვევით)